

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, 2015 წელს პირველ ივლისამდე საქმიანობას წარმართავდა - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 27 დეკემბრის N188 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, ხოლო 2015 წლის პირველი ივლისიდან - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

2012 წლის 27 დეკემბრის N188 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, გენერალური ინსპექციის სტრუქტურული ერთეულები იყო - ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო, საფინანსო-სარევიზიო სამმართველო და შიდა ინსპექტირების სამმართველო.

2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით კი გენერალური ინსპექციის სტრუქტურული ერთეულებია - ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო, სისტემური მონიტორინგის სამმართველო და ინსპექტირების სამმართველო.

გენერალური ინსპექცია დებულებით დადგენილი ამოცანების შესრულებისას, კერძოდ - სამინისტროს გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლსა და დარღვევებზე რეაგირებას, მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლსა და დარღვევებზე რეაგირებას, აგრეთვე, სამინისტროს სისტემაში ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენას და მათზე რეაგირებას უზრუნველყოფს - საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობისა და მინისტრის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 36-ე მუხლის თანახმად, გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლა და გაანალიზა 2015 წელს განხორციელებული საქმიანობა.

შედეგად ირკვევა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გენერალურ ინსპექციაში შემოსულია:

სულ - 2595 განცხადება/საჩივარი, შეტყობინება და ინფორმაცია, რომელთაგან - 540 გადაგზავნილია ქვემდებარეობით. მათ შორის:

პენიტენციურ დეპარტამენტში - 213;

პენიტენციურ დეპარტამენტში -195;

სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში - 61;

საქართველოს მთავარ პროკურატურაში - 71;

სამსახურებრივი შემოწმების მასალებთან ერთად ჩამოიწერა და განთავსდა არქივში - 654.

რაც შეეხება დარჩენილ - 1401 ერთეულ შეტყობინებას, ინფორმაციას, განცხადება/საჩივრებს, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს რა ერთი და იმავე პირის მიერ, ერთი და იგივე საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ინსტანციებში განცხადება/საჩივრების არაერთგზის გაგზავნას, რომლებიც ინსპექციაში ქვემდებარეობით შემოდის, იდენტური შინაარსის დოკუმენტები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

მაგალითისთვის მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მსჯავრდებულის მიერ გადმოგზავნილი საჩივარ-განცხადების წლიურ მონაცემს. კერძოდ - N 7 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულს დ. ხ-ს -2015 წლის განმავლობაში შემოტანილი აქვს 68 ერთეული საჩივარ-განცხადება; N3 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულს გ. მ-ს -2015 წლის განმავლობაში შემოტანილი აქვს 74 ერთეული საჩივარ-განცხადება; N6 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულს გ. ბ-ს -2015 წლის განმავლობაში შემოტანილი აქვს 34 ერთეული საჩივარ-განცხადება; N6 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულს გ. ო-ს - 2015 წლის განმავლობაში შემოტანილი აქვს 78 ერთეული საჩივარ-განცხადება.

პრაქტიკულად ანალოგიური მონაცემები ფიქსირდება სხვა მსჯავრდებულ/ბრალდებულთა მხრიდანაც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში მაგალითისთვის წარმოდგენილია მხოლოდ უშუალოდ მსჯავრდებულების საჩივარ-განცხადებები და არ არის - მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების - იმავე შინაარსის საჩივარ-განცხადებების რაოდენობა მოყვანილი, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ზრდის მათ ოდენობას.

გასულ 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს საჩივარ/განცხადებების რიცხვი გაზრდილია - 1552 ერთეულით (2014 წელს იყო - 1043) ანუ თითქმის 2,5 ჯერ.

მომატებულია ქვემდებარეობით გადაგზავნის მაჩვენებელიც, კერძოდ, 2014 წელთან შედარებით - 378 ერთეულით მეტი საჩივარ/განცხადებაა ქვემდებარეობით გადაგზავნილი შესაბამის უწყებებში (2014 წელს იყო - 162), ანუ თითქმის გაზრდილია 3-ჯერ.

როგორც აღინიშნა, საჩივარ-განცხადებების, შეტყობინებების რიცხვის, ერთი შეხედვით მკვეთრი ზრდა განპირობებულია - მათი არაერთგზისი დუბლირებით, ხოლო მეორეს მხრივ პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული პირების, მეტი თავისუფლებით თავიანთი უფლებების დაცვის რეალიზაციის თვალსაზრისით. მცირედი უკმაყოფილება კი იწვევს

მათი მხრიდან საპასუხო რეაქციას, რაც ყველა შემთხვევაში ხდება სამინისტროს სისტემის სხვადასხვა სამსახურების, მათ შორის გენერალური ინსპექციის შესაბამისი რეაგირების საგანი.

2015 წლის პერიოდში, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შედგა - 102 დასკვნა;

დისციპლინური წესით დასჯილია - სისტემის 156 თანამშრომელი;

სამსახურებრივი შემოწმება შეწყდა - 5 თანამშრომლის მიმართ, ვნაიდან, სამსახურებრივი შემოწმების დასრულებამდე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

აღსანიშნავია, რომ სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შედგენილი დასკვნების რიცხვი გასულ, 2014 წელთან შედარებით შემცირებულია - 12 ერთეულით (2014 წელს იყო - 114), ხოლო დისციპლინური წესით დაისაჯა 7 ერთეულით მეტი პირი (2014 წელს იყო - 149).

სამსახურებრივი შემოწმებისა და არაგეგმური მონიტორინგის შედეგად, სისტემის თანამშრომელთა მიმართ გატარდა შემდეგი დისციპლინური ხასიათის ღონისძიებები:

- შენიშვნა გამოეცხადა - 82 თანამშრომელს;
- გაფრთხილება გამოეცხადა - 13 თანამშრომელს;
- საყვედური გამოეცხადა - 38 თანამშრომელს, მათ შორის - 2-ს მონიტორინგის შედეგების მიხედვით;
- სასტიკი საყვედური (ახალი კანონი აღარ ითვალისწინებს) გამოეცხადა - 4 თანამშრომელს;
- სისტემის ორგანოდან დათხოვნილია - 12 თანამშრომელი, მათ შორის - 2 პირი დათხოვნილია მონიტორინგის შედეგების საფუძველზე;
- ხელფასი დაუკავდა - 7 თანამშრომელს, მათ შორის 3-ს მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.

გენერალური ინსპექციის დასკვნების საფუძველზე დისციპლინურსახდელდადებულ არც ერთ თანამშრომელს ზემდგომ თანამდებობის პირთან და სასამართლოში არ გაუსაჩივრებია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

რაც შეეხება სისტემიდან დათხოვნილ პირებს - მხოლოდ ორმა პირმა მიმართა სასამართლოს - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით. ორივე შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის მოთხოვნები. კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი მათ მიმართ გამოცემული გათავისუფლების ბრძანებები და სამინისტროს დაევალა ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად - ახალი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა. ორივე შემთხვევაში გენერალურმა ინსპექციამ შეასრულა სასამართლოს მითითებები და გამოსცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

2015 წელს საჩივარ/განცხადებებში, მსჯავრდებულების/ბრალდებულების მოთხოვნებში შეინიშნებოდა შემდეგი ტიპის ტენდენციები, რაც საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვა უფლებადამცველების მხრიდან შენიშვნისა და შესაბამისად რეკომენდაციების საფუძველი იყო. ესენია:

- პატიმართა წერილებისა და კორესპოდენციის სავარაუდო დაბლოკვის საკითხი;
 - N7 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული არასათანადო პირობები;
 - სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული საკითხები;
 - დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები.
- პატიმართა წერილებისა და კორესპოდენციის სავარაუდო დაბლოკვის ფაქტთან დაკავშირებით გენერალურმა ინსპექციამ მოახდინა სათანადო რეაგირება და არც ერთ შემთხვევაში, ასეთი ფაქტი ან ინფორმაცია არ დადასტურდა.
- N7 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული არასათანადო პირობების შესახებ გამოთქმულ პრეტენზიებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ცნობილია, აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, სადაც განთავსებული არიან მაღალი რისკის მსჯავრდებულები (კანონიერი ქურდები, ქურდული სამყაროს წევრები), რომელთა კრიმინალური ავტორიტეტი და პენიტენციურ დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა განსაკუთრებული საფრთხის შემცველია პენიტენციური სისტემისა და სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის. აღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილების თვალსაზრისით, N7 პენიტენციური დაწესებულების ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად უზრუნველყოფს ამ კატეგორიის მსჯავრდებულებისგან მომდინარე საფრთხის განეიტრალებას. მიუხედავად ამისა, ვინაიდან სარემონტო სამუშაოები N6 პენიტენციური დაწესებულებაში თითქმის დასრულებულია, N7 პენიტენციური დაწესებულებიდან განხორციელდა გარკვეული რაოდენობის მსჯავრდებულების გადაყვანა N6 პენიტენციური დაწესებულებაში. საგულისხმოა, რომ ამჟამად, ამავე მსჯავრდებულების მხრიდან ადგილი აქვს მორიგ პრეტენზიებს - N7 პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ამჟამად დაგეგმილია N7 პენიტენციური დაწესებულების სრულყოფილი რეაბილიტაცია, ე.წ. „პირველ სართულზე“ საკნების გაუქმება და ამ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტის მნიშვნელოვნად შემცირება;

- საანგარიშო პერიოდში, მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მხრიდან არაერთგზის გამოითქვა პრეტენზიები სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს გენერალურ ინსპექციაში შემოსული საჩივარ/განცხადებების დიდი ნაწილი სწორედ ამ საკითხს ეხებოდა.

სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ამ ტიპის პრეტენზიები უმრავლეს შემთხვევაში უსაფუძვლოა. სამედიცინო ისტორიებისა და პირადი საქმეების შესწავლით ირკვევა, რომ მსჯავრდებულები/ბრალდებულები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო

სამედიცინო მომსახურებით და მათი პრეტენზიები აღნიშნულზე - სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მეტი ყურადღების მიქცევის მიზანს ემსახურება. თუმცა იმ პატიმართა პრეტენზიები აღნიშნულ საკითხზე, რომლებიც გენერალურმა ინსპექციამ საფუძვლიანად მიიჩნია - ყველა შემთხვევაში გადაეზავნა სათანადო რეგირებისთვის სამედიცინო დეპარტამენტს. რაც შეეხება ისეთი კატეგორიის საკითხებს, როგორცაა სამედიცინო პერსონალის, განსაკუთრებით მთავარი ექიმების მხრიდან გამოვლენილი უყურადღებობის და/ან არასაკმარისი ყურადღების გამოჩენა მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მიმართ, ასეთს ცალკეულ შემთხვევებში ჰქონდა ადგილი, თუმცა გენერალური ინსპექციის წარმომადგენელთა ადგილზე სათანადო მუშაობის შედეგად, პრობლემები აღმოიფხვრა.

- დადებით ტენდენციად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ საანგარიშო პერიოდში, გასულ წლებთან შედარებით მკვეთრადაა შემცირებული საჩივრები, დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან - სავარაუდო ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით არც ერთი პრეტენზია არ აღმოჩნდა საფუძვლიანი. სამსახურებრივი შემოწმების დროს, მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მიერ განმარტებების მიცემისას, როგორც წესი ხდება მათ მიერ გამოთქმული პრეტენზიების უარყოფა და/ან შეცვლა სხვა მოთხოვნებით, როგორცაა სხვა დაწესებულებაში გადაყვანა, დასაქმება და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში, მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად, გენერალურმა ინსპექციამ განიცადა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება და შეიქმნა სისტემური მონიტორინგის სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს გამგებლობის სფეროში სისტემური მონიტორინგის განხორციელებას, მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებას და ანგარიშის მომზადებას, აგრეთვე სისტემური მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ხარვეზებისა და პრობლემების ანალიზს და მათი აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენას. სამმართველოს შექმნას ხელი შეუწყო პენიტენციური პრობლემატიკის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებმა, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა საქართველოში მიმდინარე პენიტენციური რეფორმის პროცესში.

სამმართველომ პრაქტიკულად ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის აგვისტოდან, რის გამოც, გენერალური ინსპექციის დებულებით გათვალისწინებული წლიური გეგმის დამტკიცება ვერ მოხერხდა და მუშაობა წარიმართა არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში სისტემური მონიტორინგის სამმართველოს მიერ ჩატარდა 3 არაგეგმური მონიტორინგი, მათ შორის:

- N 5 პენიტენციურ დაწესებულებებში - ქალი პატიმრების სოციალური უფლებების დაცვის მდგომარეობის, ჰუმანიზმის, სამართლიანობის, თანასწორობის პრინციპების დაცულობის, დისკრიმინაციისა და პრივილეგიების არსებობა - არარსებობის, ანუ

სოციალური უფლებების დაცვის მდგომარეობის არაგეგმური თემატური მონიტორინგი;

- N 14 პენიტენციურ დაწესებულებაში - არაგეგმური კომპლექსური სამსახურებრივი შემოწმება;
- არაგეგმური სრული სისტემური მონიტორინგი N17 პენიტენციურ დაწესებულებაში.

➤ №5 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის დროს შესწავლილ იქნა მსჯავრდებულთა - სოციალური ინფრასტრუქტურა და საყოფაცხოვრებო პირობები, კორესპონდენციის მიმოქცევის ხელშეუხებლობა, დედათა და ბავშვთა განყოფილების ფუნქციონირება, დასაქმების, სწავლების პროგრამების განხორციელება, ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა, კომუნიკაცია-პაემნები, ამანათები, სატელეფონო ზარები, რელიგიური წეს-ჩვეულებების განხორციელების შესაძლებლობა, კონფლიქტური სიტუაციების მიზეზები, მართვა, განმუხტვა; სპორტი, ბიბლიოთეკა, მასმედია, ტელე-რადიო მაუწყებლობა, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სამართლიანობა, ღირსების დაცვა, თანასწორობა, პრივილეგიები, კვების ხარისხი, მაღაზიით სარგებლობა, სოციალურ მუშაკთა საქმიანობა. ამასთან ერთად სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა მსჯავრდებულთა 25%-თან.

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების უმეტესობა დამაკმაყოფილებელია, პასუხობს როგორც შიდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს.

დადებითად შეფასდა - ბიბლიოთეკა თავისი ინტერიერით და წიგნების მრავალფეროვნებით, ასევე ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონიც.

დაწესებულებაში ინერგება სხვადასხვა სახის ზოგადი პროფესიული განათლების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელშემწყობი პროგრამები, რომლებშიც მსჯავრდებულები აქტიურად არიან ჩართულები. წარმოდგენილი ანგარიშების თანახმად, 2015 წლის იანვარ - ოქტომბრის პერიოდში ჩატარდა 20-მდე ასეთი ღონისძიება.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამკერვალო სახელოსნო, რომელშიც დასაქმებულია 15 ქალი, 18 მსჯავრდებული ირიცხება სამეურნეო ნაწილში. დაწესებულებაში დასაქმებული 2 სტილისტი, ფიტნეს ინსტრუქტორი, თექის ხელოსანი ანაზღაურებას არ იღებენ და მათი საქმიანობა ატარებს გატაცების ხასიათს.

დადებითად აღინიშნა ის ფაქტი, რომ პრივილეგიების არსებობას დაწესებულებაში თავად მსჯავრდებულები უარყოფენ. სოციალური უფლებები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დაცულია. ურთიერთობები ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის საქმიანი და კეთილგანწყობილია, ემყარება ურთიერთპატივისცემას. რაიმე უკანონო პრივილეგიები და დისკრიმინაცია სოციალური უფლებების რეალიზაციის სფეროში კონკრეტული პატიმრების ან პატიმართა რომელიმე ჯგუფისადმი არ შეინიშნება.

საინტერესო ტენდენციები გამოვლინდა სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგის ანკეტირებისას. მათ მიერ გამოითქვა ერთმნიშვნელოვანი თვალსაზრისი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ფუნქციონალური მოვალეობის ჯეროვანი შესრულების მიზნით სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგის შტატის დამატების თაობაზე. გამოითქვა პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების საჭიროება, სოციალური კომუნიკაციის, კრიმინალური ფსიქოლოგიის, უფლებების დაცვისა და სხვა ტრენინგების გავლა, უცხოეთის გამოცდილების დაუფლება და ა.შ.

მონიტორინგისას გამახვილდა ყურადღება ნორმირებული სამუშაო დროის დაცვის აუცილებლობაზე, დაწესებულებაში მათთვის კვების ორგანიზების მიზანშეწონილობაზე.

მიუხედავად არაერთი პოზიტიური მოვლენისა მონიტორინგის შედეგებმა გარკვეული ნაკლოვანებებიც გამოავლინა როგორცაა ცალკეულ საკნებში არსებული მდგომარეობა და საშხაპებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობა.

გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა პაემნებისათვის განკუთვნილ ადგილსა და სატელეფონო ზარებთან დაკავშირებით, აგრეთვე საწოლის თეთრეულით მომარაგებასთან დაკავშირებითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ დეტალურადაა აღწერილი №5 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული თემატური სისტემური მონიტორინგის ანგარიშში, რომელშიც ასევე დაფიქსირდა გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციები.

- სისტემური მონიტორინგის სამმართველომ გასულ საანგარიშო წელს ჩაატარა კომპლექსური არაგეგმიური სამსახურებრივი შემოწმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №14 პენიტენციურ დაწესებულებაში.

შემოწმებით არსებული ინფრასტრუქტურა, მსჯავრდებულთა გადაადგილების თავისუფლების ხარისხი, ჩაკეტილ სივრცეში ყოფნის დრო, დაწესებულებაში დამკვირდებული შეზღუდვების და წახალისების პრაქტიკა მეტყველებს, რომ დაწესებულება ძირითადად ფუნქციონირებს, როგორც მხოლოდ ნახევრად ღია ტიპის პენიტენციური დაწესებულება. სოციალური მუშაკები დაკავებულები არიან ისეთი აუცილებელი ფუნქციების შესრულებით, როგორცაა მსჯავრდებულთა განცხადებების გადაგზავნა, პაემნებით უზრუნველყოფა.

ამავე დროს, დაწესებულებაში იგნორირებულია კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლებიც უთითებენ მსჯავრდებულთათვის მათი უფლება-მოვალეობების, შეზღუდვების, აკრძავების და ადმინისტრაციის ქმედებათა გასაჩივრების უფლების სავალდებულო განმარტების აუცილებლობაზე. ამ კუთხით დაწესებულებაში უცხოელი მსჯავრდებულების უფლებები საერთოდ არ იყო დაცული.

გაირკვა, რომ სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებაში არ წარმოებს საჭირო ჟურნალების ნაწილი, დაწესებულებიდან დროებით გასულ მსჯავრდებულთა აღრიცხვის უწყისი, მსჯავრდებულთა სია, რომლებიც ექვემდებარებიან ერთმანეთისგან იზოლირებას; მსჯავრდებულთა მოძრაობის სადღეღამისო ჟურნალი, საკნებში მსჯავრდებულთა განლაგების გეგმა, მსჯავრდებულთა ერთი საკნიდან, საკნის ტიპის საცხოვრებელი სადგომიდან და საერთო საცხოვრებელიდან მეორეში გადაადგილების სია, სამეურნეო სამუშაოების შემსრულებელ მსჯავრდებულთა სია და სამართლო საკანში მსჯავრდებულთა განთავსების ჟურნალი.

დაწესებულების საიდუმლო ოპერატიული საქმიანობა შესწავლილ იქნა მოწვეული სპეციალისტების - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს მიერ. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ეს ინფორმაცია დასაიდუმლოვდა. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ საქმიანობის ამ კუთხითაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. კერძოდ, დაწესებულების საიდუმლო საქმიანობა გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით და ფაქტიურად არ კონტროლდებოდა დაწესებულების დირექტორის მიერ, რაც მის უშუალო მოვალეობას წარმოადგენდა.

მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა სატელეფონო ზარების ულიმიტო რაოდენობით სარგებლობის, დასჯა-წახალისების გამოყენებისა და სამართლო საკნიდან მსჯავრდებულთა ვადამდე ადრე გამოყვანის თვალსაზრისითაც.

ჩატარებული შემოწმების შედეგებზე - N14 პენიტენციურ დაწესებულებაში დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა 7 პირს. მათ შორის, 2 პირი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან; 2 პირს გამოეცხადა - საყვედური; 3 პირს დაეკისრა 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება.

- 2015 წელს ჩატარდა №17 დაწესებულების არაგეგმიური სისტემური მონიტორინგი, რომელმაც მოიცვა დაწესებულების საქმიანობის ყველა მიმართულება.

იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის ანგარიში შედგენილია 2016 წლის იანვარში, მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულების მდგომარეობა აისახება მომდევნო საანგარიშო ცნობებში.

საანგარიშო პერიოდში, გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს მონაწილეობა აქვთ მიღებული სამინისტროს მიერ შექმნილ სხვადასხვა დროებითი კომისიებისა და საბჭოების მუშაობაში.

გენერალური ინსპექცია 2015 წლის განმავლობაში თვალს ადევნებდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გარდაცვალების ფაქტებს, ასევე ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თვითდაზიანების მიყენებისა და თვითკვლელობის მცდელობის ფაქტების აღრიცხვა თვეების მიხედვით, რომელის

სტატისტიკურ მონაცემები ერთვის წინამდებარე ანგარიშს. 2015 წელს, სამინისტროს თოთხმეტი პენიტენციური დაწესებულებიდან ცამეტში დაფიქსირდა სულ:

- თვითდაზიანების - 2663 შემთხვევა;
- თვითმკვლელობის მცდელობის - 150 ფაქტი;
- თვითმკვლელობის -2 ფაქტი;
- გარდაცვალების - 10 შემთხვევა.

ამასთან, N9 პენიტენციურ დაწესებულებაში არც ერთი შემთხვევა თვითდაზიანების, თვითმკვლელობის მცდელობის, ან გარდაცვალების არ დაფიქსირებულა.

2015 წლის გარდაცვალების სტატისტიკას თუ შევადარებთ გასული წლების მონაცემებს სურათი მეტად პოზიტიურია. კერძოდ, 2010-2015 წლებში გარდაცვალების სტატისტიკა ასე გამოიყურება:

- 2010 წელს - 144 შემთხვევა;
- 2011 წელს - 140 შემთხვევა;
- 2012 წელს - 67 შემთხვევა,
- 2013 წელს - 25 შემთხვევა;
- 2014 წელს - 27 შემთხვევა;
- 2015 წელს - 12 შემთხვევა.

რაც შეეხება თვითდაზიანების ფაქტებს, ანალიზმა ცხადჰყო, რომ ასეთი შემთხვევების 54,5 % მოდის სისტემის 2 დაწესებულებაზე -კერძოდ, N8 (801 შემთხვევა) და N2 (645 შემთხვევა) პენიტენციურ დაწესებულებებზე, რაც საფუძველი გახდა, გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველოს 2016 წლის გემაში სწორედ ამ დაწესებულებაში შესწავლილ იქნეს მსჯავრდებულთა აუტოაგრესიული ქცევის ფაქტები, მათი ჩადენის დინამიკა; სუიციდის, სუიციდის მცდელობის, თვითდაზიანების ჩამდენ პირთა ბიო-ფსიქო-სოციალური პორტრეტი; ასეთი ქმედებების ჩადენის შემთხვევითი და კანონზომიერი გამომწვევი მიზეზები, მაპროვოცირებელი ფაქტორები; პენიტენციურ დაწესებულებებში მათზე პრევენციულ-პროფილაქტიკური და ანალიტიკური საქმიანობის მდგომარეობა.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში გენერალური ინსპექციამ არაერთხელ განახორციელა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამსახურებრივი მოვალეობებისა და მოთხოვნების შესრულებისა და დისციპლინის დაცვის კონტროლი, გამოვლენილი დარღვევის ფაქტებზე მოახდინა შესაბამისი რეაგირება.